ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/01180333384-17

"12" 03 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა №1ა-ში (საკ. კოდი №01.12.12.038.003) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2060359 31.08.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა №1ა-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-4" და „4-1" ფასადებზე მოსაპირკეთებელია შენობის ძირი. +3.50 ნიშნულზე გაზრდილია რიგელების სიმაღლე. ნაწილობრივ გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე.

„1-4" ფასადი: შენობის ძირში ერთი ბაქნის ნაცვლად მოწყობილია ორი მცირე ზომის ბაქანი. ნაწილობრივ შეცვლილია კარებების და ფანჯრების ნახატი. +13.60 და +16.80 ნიშნულზე „1-4" მონაკვეთში აივნებზე ღიობებში დამატებულია კედლები. +23.20 და +26.40 ნიშნულზე „4¹" ღერძთან შემცირებულია ღიობების სიგანე.

„4-1" ფასადი: შენობის ძირში „3-2" მონაკვეთში მოწყობილია კაპიტალური ფილა და კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. +3.50 ნიშნულიდან ზემოთ „3-2" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების მდებარეობა. +26.40 ნიშნულზე „2-1" მონაკვეთში დამატებულია აივანი.

„ე-ა" ფასადი: ფასადზე გაუქმებულია მინაბლოკები.

შენობის შიგნით შეცვლილია კოლონების რაოდენობა. -2.70 ნიშნულზე კიბესთან გაუქმებულია ტამბური. „დ-ე მონაკვეთში დამატებულია კედლები და შექმნილია ფართი, რის გამოც „დ" ღერძზე „3-2" მონაკვეთში გაუქმებულია კედელი. „დ" ღერძზე „2-1" მონაკვეთში შეცვლილია ღიობის გაბარიტი. „3-4" მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგრძე და ბაქნის ფორმა. +29.60 ნიშნულზე დამატებულია ფრამუგები. სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტების მდებარეობა და გაზრდილია წყალშემკრები მილების რაოდენობა. +32.00 ნიშნულზე კიბის უჯრედის სათავსოს ზემოთ დამატებულია კედლები, რის გამოც შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია.

ტერიტორიაზე შეცვლილია პანდუსის და პანდუსის კედლების ფორმა. ასევე გაუქმებულია სანიაღვრე ცხაური.

„ა-ე" ფასადის მხარეს შენობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „კოლხი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა №1ა-ში (საკ. კოდი №01.12.12.038.003) მდებარე

მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01180333384-17 02.02.2018წ. და
№10/0118054644-17 23.02.2018წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**